ფრე ჩემპიონთან

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 23 მაისი.

“დინამო” (თბილისი) _ “დინამო” (კიევი) 1:1 (1:0).

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ცხოვრებოვი, ჭელიძე, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, მაისურაძე.

კიევი: რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, სერებრიანიკოვი, ბიშევეცი (მუნტიანი), მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონთან თავისი მნიშვნელობით და შინაარსით იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მის გარშემო ვრცლად ვილაპარაკოთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში, ხოლო ამჯერად დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ტექნიკური ხასიათის აღწერით.

დაიწყო ეს მატჩი იმით, რომ დინამოელებმა და მათთან ერთად მაყურებლებმა გულთბილად, ხანგრძლივი ტაშით გააცილეს მწვანე მინდვრიდან ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელი ვლადიმერ ბარქაია. ეს იყო ამ პირველხარისხოვანი ფორვარდის ბოლო, სიმბოლური გამოსვლა თბილისის “დინამოში”, სადაც იგი რჩება მწვრთნელის პოსტზე.

ტაიმი დაიწყო კიეველთა რამდენიმე ძალზე სწრაფი და კარგად მოფიქრებული იერიშით. მასპინძლებს ძალების სრული დაძაბვით მოუხდათ თამაში დაცვაში დაახლოებით 10-12 წუთის მანძილზე. შემდეგ შეტევაში ჩაებნენ თბილისელები.

ანგარიში გაიხსნა 24-ე წუთზე. ხურცილავამ კომბინაცია გაითამაშა გ. სიჭინავასთან, გვერდი აუარა რამდენიმე მეტოქეს, სრული სისწრაფით შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში და უძლიერესი დარტყმით ბრწყინვალე გოლი გაიტანა _ 1:0.

თბილისელები ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებიდან ინიციატივამ მთლიანად ჩემპიონის მხარეს გადაინაცვლა. იერიში იერიშს მოსდევდა და 53-ე წუთზე ხმელნიცკიმ საპასუხო ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში _ 1:1.

რ. ქორიძე
“ლელო”, 24 მაისი, 1967 წ.